



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეჭმედ ალა, სილაჰდარ ფუნდუკლულუ მეჭმედ ალა

მეჭმედ ალა, სილაჰდარ ფუნდუკლულუ მეჭმედ ალა (1658, სტამბოლი, -1724, იქვე), ოსმალთა ისტორიკოსი. იგი სულთნის სასახლეში აღიზარდა. ეკავა სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობა. აჭმედ III-ის (1703-30) დროს სილაჰდარად (საჭურველთმტვირთველი) დაინიშნა (1703), მაგრამ მალე გადააყენეს. მან უარი განაცხადა ანატოლიის ერთ-ერთი პროვინციის ვალის შემოთავაზებულ თანამდებობაზე და საერთოდ თავი დაანება სახელმწიფო სამსახურს. მ. ა. იწერდა ყველაფერს – გაგონილსა და ნანახს. მან აღწერა სასახლის კარის წეს-ჩვეულებები. სულთან მუსტაფა II-ის (1695-1703) ბრძანებით დაწერა 1654-94 ოსმალეთის ისტორია („ზეილი ფეზლეჟე“). ეს ნაშრომი „სილაჰდარ თარიხის“ სახელწოდებით 1928 გამოიცა 2 ტომად, ფაქტობრივად ეს თხზულება ქათიმ ჩელების ისტორიის ქრონოლოგიური გაგრძელებაა. მისი მეორე ნაშრომი „გამარჯვების წიგნი“ (ნუსრეთნამე), რ-შიც გადმოცემულია 1695-1721 ამბები, ორიგინალური თხზულებაა და ძვირფას წყაროს წარმოადგენს როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთისა და საქართველო ისტორიის არაერთი საინტერესო საკითხის გასარკვევად. მ. ა.-ს, როგორც პეტრე I-ის თანამედროვე ისტორიკოსს, უხვი ცნობები მოეპოვება რუსეთისა და ოსმალეთის ურთიერთობაზე, იგი უშუალოდ მონაწილეობდა აზოვის ლაშქრობაში. „ნუსრეთნამეში“ მ. ა. ქრონოლოგიურად გადმოგვცემს საქართველოს ამბებს. I ნაკვეთში არის ვრცელი ცნობები რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის და სხვ. ამბების შესახებ, II და III ნაკვეთებში აღწერილი 1696-97 ამბები ეხება დას. საქართველო-სამთავროების მდგომარეობას და მათ მესვეურთა დამოკიდებულებას ოსმალეთის მოსაზღვრე ფაშებისა და სულთნისადმი. მ. ა. მოგვითხრობს დას. საქართველო-სამთავროების ურთიერთდამოკიდებულების, ოსმალთა ხელისუფლების მიერ ჩატარებული ღონისძიებების, ოსმალეთის შამხალთან ურთიერთობის და სხვა მოვლენების შესახებ. ამას მოსდევს ცნობა ოსმალთა ლაშქრის მიერ ქუთაისის ციხის დანგრევის, ამ ციხის დაცვაში დას. საქართველო-სამთავროების მონაწილეობის, მათი ოსმალეთის ლაშქართან მიმართებისა და მოლაპარაკების შესახებ.

ლიტ.: ს ვ ა ნ ი ძ ე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები XIV-XVIII სს. თბ., 1990; შენგელია ნ., XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.

ნ. შენგელია
